

ანგარიში

სსიპ კოლეჯში „აისი“ 2021 წელს განხორციელებული საქმიანობის, გამოწვევების და სამომავლო მიზნების შესახებ

**I. 2021 წელს განხორციელებული საქმიანობები**

2021 წელს სსიპ კოლეჯში „აისი“ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა წარიმართა წინა წელს გაწეული მუშაობის შედეგების გაანალიზების შემდეგ ძლიერი და სუსტი მხარეების, ძირითადი პრობლემების და საფრთხეების გათვალისწინებით, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრით და პრიორიტეტების გამოკვეთის საფუძველზე. შედგა სამოქმედო გეგმა. დაიგეგმა 2021 წლის აქტივობები. პერიოდულად მიმდინარეობდა გეგმების შესრულების მხარდაჭერა, მონიტორინგი და შედეგების შემოწმება.

კოლეჯმა განავითარა ადამიანური და მატერიალური რესურსები, შეიმუშავა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები. ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, განათლების ხარისხის ასამაღლებლად და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მომზადდა და გადაიდგა ადექვატური ნაბიჯები. შემუშავდა შიდა ნორმატიული დოკუმენტები.

2021 წლის განმავლობაში კოლეჯმა საექთნო საქმის, ფარმაციის, მებაღეობის, კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. კოლეჯმა მიიღო კომპიუტერული ქსელი და სისტემების და მებაღეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება. ვერ მოხერხდა საექთნო საქმის და ფარმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დამატება. პროგრამებში გამოიკვეთა ხარვეზები, რაც განპირობებული იყო პასუხისმგებელი პირების მიერ დაშვებული შეცდომებით.

კოლეჯმა ასევე უზრუნველყო ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირება კომპიუტერული ქსელი და სისტემების და მებაღეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისათვის. დღეისათვის კოლეჯს უფლება აქვს განხორციელოს მისამართების მიხედვით 31 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, მათგან 3 დუალური მიდგომისაა.

დაიდო ახალი ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან და მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესდა ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა. დღეისათვის ხელშეკრულებები გაფორმებულია ორასამდე ორგანიზაციასთან და ფიზიკურ პირთან, მათ შორის დუალურ პროგრამებში ჩართულია 24 კომპანია. კოლეჯი მუშაობს დუალური პროგრამების დამატების მიმართულებით.

სისტემატიურად მიმდინარეობდა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, სასწავლო და კალენდარული გეგმების, შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების და სხვა საჭირო დოკუმენტების შემოწმება. შემოწმების შედეგებმა აჩვენა, რომ პროცესები წარმატებით მიმდინარეობს. კოლეჯის მენეჯმენტი და მასწავლებელთა რესურსი მზადდა ახალი გამოწვევებისათვის.

პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით კოლეჯის ადმინისტრაციამ, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახურმა განხორციელა წარმატებული აქტივობები. პროფესიულ განათლებაში მოსახლეობის მეტად ჩართულობისათვის პროფორიენტაციის სამსახურის ძირითადი მუშაობა მიმართული იყო მოსახლეობის ინფორმირებისკენ. ამ მიზნით განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტებში და სკოლებში. პროაქტიურად ხდებოდა ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის გამოყენება. რამდენჯერმე მომზადდა და გავრცელდა სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო ფურცლები და ბუკლეტები. ინფორმირების კომპონენტში მნიშვნელოვანი იყო სასკოლო ექსკურსიები კოლეჯში. შეხვედრების ბოლოს აუდიტორიას ურიგდებოდა ბუკლეტები და პირადად ეცნობოდნენ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. პროფესიული ინფორმირება ხდებოდა მთელი წლის განმავლობაში, საინფორმაციო საშუალებებით, სტუდენტების

დახმარებით, კერძო კონტაქტებით და „კარდაკარის“ პრინციპით. მნიშვნელოვანი იყო პროფესიული მასწავლებლების აქტიური ჩართვა პროფესიული ინფორმირების პროცესში.

ჩატარდა ღია კარის დღეები, რომლებშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი სკოლების მოსწავლეები, მოსახლეობა, საერთაშორისო ორგანიზაციები და დამსაქმებელი ორგანიზაციები. ამ ტიპის ღონისძიებებმა ხელი შეუწყო პროფესიული განათლების პრესტიჟის ზრდას და საზოგადოების უფრო მეტად დაინტერესებას პროფესიული განათლების მიმართულებით.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა წარმატებული ისტორიების გაზიარების მიზნით შექმნილია პორტალი სახელწოდებით აისის` ბლოგი, <https://aisisblogi.blogspot.com/>, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იხილონ როგორც ზოგადი ინფორმაციები კოლეჯის შესახებ, ასევე წარმატებული კურსდამთავრებულების ქეისები.

კოლეჯს აქვს უფლება მისამართების მიხედვით განახორციელოს 17 მომზადების პროგრამა. მომზადდა და კოლეჯის ვებგვერდზე განთავსდა პროფესიული მომზადების პროგრამების კატალოგი. ასევე კოლეჯის სოციალურ ქსელში და ვებგვერდზე თავსდებოდა განცხადებები მომზადების პროგრამებზე გამოცხადებული რეგისტრაციების შესახებ.

სხვადასხვა დაფინანსების ფარგლებში მომზადების პროგრამები გაიარა 231 მსმენელმა, მათ შორის:

- ❖ UNDP-ის პროექტის ფარგლებში -135 კურსდამთავრებული. სერტიფიკატი მიეცა-132 კურსდამთავრებულს.
- ❖ „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში - 54 კურსდამთავრებული. სერტიფიკატი მიეცა 52 კურსდამთავრებულს.
- ❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის დაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში - 27 კურსდამთავრებული. სერტიფიკატი მიეცა 27 კურსდამთავრებულს.
- ❖ ამჟამად მიმდინარეობს სწავლება პროფესიული მომზადების პროგრამაზე „რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი) -15 მსმენელი

მათ შორის პროგრამების მიხედვით და გენდერულ ჭრილში:

N	პროგრამის განხორციელების ადგილი	მოკლევადიანი პროგრამის დასახელება	დაფინანსების წყარო	ჩარიცხული მსმენელების რაოდენობა	მათ შორის ქალი/კაცი	სერტიფიკატი მიიღო	მათ შორის ქალი/კაცი
1	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ.კაჭრეთი	ყურძნის გადამუშავება და ვინიფიკაცია	UNDP-ის პროექტის ფარგლებში	15	7 ქალი, 8 კაცი	14	6 ქალი, 8 კაცი
2	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ.კაჭრეთი	ღვინის მოვლა, ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა		30	9 ქალი, 21 კაცი	29	8 ქალი, 21 კაცი
3	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ.კაჭრეთი	ქართული და უცხოური კერძების მომზადება		30	14 ქალი, 16 კაცი	29	14 ქალი, 15 კაცი
4	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ.კაჭრეთი	ტყის აღდგენა-გაშენება		15	15 კაცი	15	15 კაცი
5	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ.შრომა			15	2 ქალი, 13 კაცი	15	2 ქალი, 13 კაცი

6	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ.კაჭრეთი	ვაზის ნერგის წარმოება და ვენახის შევსება ახალი ნარგავებით		15	4 ქალი, 11 კაცი	15	4 ქალი, 11 კაცი
7	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ.კაჭრეთი	ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი პროდუქტების წარმოება		15	8 ქალი, 7 კაცი	15	8 ქალი, 7 კაცი
8	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. სამრეკლო	კედლებისა და იატაკის ფილებით მოპირკეთება	„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში	10	10 კაცი	10	10 კაცი
9		კედლებისა და ტიხრების აშენება		10	10 კაცი	10	10 კაცი
10		თმის შეჭრა და ვარცხნილობების გაკეთება		12	12 ქალი	11	11 ქალი
11	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვ. ალვანი	თმის შეჭრა და ვარცხნილობების გაკეთება		12	12 ქალი	11	11 ქალი
12	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ.კაჭრეთი	მსუბუქი ავტომობილის სამუხრუჭე სისტემისა და საჭით მართვის მექანიზმის სერვისი		10	10 კაცი	10	10 კაცი
13	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ.კაჭრეთი	ფუტკრის მოვლა-პატრონობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის დაფინანსების	12	6 ქალი, 6 კაცი	12	6 ქალი, 6 კაცი
14	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ.კაჭრეთი	ქართული და უცხოური კერძების მომზადება		15	10 ქალი, 5 კაცი	15	10 ქალი, 5 კაცი
15	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვ. ალვანი	რეგიონალური ტურის მეგზური (ქართულენოვანი)		15	8 ქალი, 7 კაცი	მიმდინარე ; არ დასრულებულა	
				231	92 ქალი, 139 კაცი	211	80 ქალი, 131 კაცი

კოლეჯმა საანგარიშო წელს მიიღო პროფესიული მომზადების პროგრამების: „ფუტკრის მოვლა-პატრონობა“ და „რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი)“. განხორციელების უფლება.

იგეგმება პროფესიული მომზადების პროგრამის „სერვისი და სერვირება“ და „დეკორატიული მცენარეების გამრავლება“ დამატება. აღნიშნული პროგრამები უახლოეს ხანში წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს.

2021 წლის დასაწყისში კოლეჯში ირიცხებოდა 634 სტუდენტი, მათ შორის კაჭრეთის ლოკაციაზე -292; სამრეკლოს ლოკაციაზე -128; ქვემო ალვანის ლოკაციაზე -122 სტუდენტი; შრომის ლოკაციაზე-92 სტუდენტი. 2021 წელს განხორციელდა 1 მიღება. დარეგისტრირდა 621 აპლიკანტი. მათ შორის 23 სსმ პირი, ჩაირიცხა 470 სტუდენტი, მათ შორის კაჭრეთის ლოკაციაზე 191 სტუდენტი, სამრეკლოს ლოკაციაზე -115 სტუდენტი, ქვ. ალვანის ლოკაციაზე -74 სტუდენტი, შრომის ლოკაციაზე -90 სტუდენტი. 2021 წელს სტუდენტის სტატუსი შეუწყდა 30 სტუდენტს, სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა 4 სტუდენტს. 2021 წელს გამოშვებულია 386, გაცემულია-336 დიპლომი.

2022 წლის დასაწყისში კოლეჯში სწავლობს-686 სტუდენტი. (316 კაჭრეთში, 102-ალვანში , 155-დედოფლისწყაროში, 113 ლაგოდეხში)

დასაქმების მაჩვენებელმა დეკემბრის მონაცემებით შეადგინა 67 %.

სტუდენტთა კონტიგენტის მოძრაობა 2021 წლის მონაცემების მიხედვით:

№	პროფესია	2021წლის დასაწყისში ირიცხებოდა	ჩარიცხვა	გამოშვება	სსმ სტუდენტის ჩარიცხვა	აღდგენილი	მობილობით გადმოსული	მობილობით გადასული	სტატუსის შეჩერება	სტატუსის შეწყვეტა	2021წლის ბოლოს ირიცხებოდა
1	საქართველოს კულტ.მემკვიდრეობის გიდი	36		36							0
2	მეფუტკრეობა	20	9	20	1		1				11
3	ელექტროობა	32	53	32							53
4	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება-დუალური	7								1	6
5	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება-ინტეგრირებული	9									9
6	ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი		10								10
7	შედუღება-მოდულური ინტეგრირებული	15									15
8	შედუღება-მოდულური		15								15
9	ტუროპერატორი	9		9							0
10	კომპიუტერული ქსელები და სისტემები		15		2						17
11	ინფორმაციის ტექნოლოგია	23	15	15	1	2			1	8	17
12	თექის დამზადება	11	29								40
13	თექის ოსტატი	25		25							0

14	იატაკისა და ფილის სამუშაოები	22	28	13	3					2	38
15	მევენახეობა-მელვინეობა	17	15	17	2						17
16	მევენახეობა-მელვინეობა(საწარმოში)	35	12	9						1	37
17	სატყეო საქმე ინტეგრირებული	24								4	20
18	სატყეო საქმე მოდულური	15	30	14						2	29
19	კერამიკული ნაკეთობის დამზადება	15	15		1					1	30
20	მხატვრული ქსოვილები	26	14	12	2						30
21	ვეტერინარია	30								3	27
22	მეთევზეობა(ფერმერობა მეთევზეობაში)	7		7							0
23	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქ. მონტაჟი	22	13	22	2						15
24	ქვის სამუშაოების წარმოება	30	28	30							28
25	მომინანქრება	28	15	28							15
26	მსუბუქი ავტომ. სავალ. ნაწილის შეკეთება	13	15	13	1			1			15
27	კულინარიის ხელოვნება	30								1	29
28	ხის მხატვრული დამუშავება	14	13		2				2	1	26
29	მებაღეობა-მოდულური		15								15
30	მებაღეობა-ინტეგრირებული		13		2						15
31	საოფისე საქმე	17	15	15						2	15
32	ბუნებრივი ადრიცხვა	27							1		26
33	თმისა და სილამაზის მომსახურება	75	62	69	2					4	66
<b>სულ</b>		<b>634</b>	<b>449</b>	<b>386</b>	<b>21</b>	<b>2</b>	<b>1</b>	<b>1</b>	<b>4</b>	<b>30</b>	<b>686</b>

კოლეჯი აქტიურად მუშაობს პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ბორდოს და გოროდოკის კოლეჯებთან სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების აქტიურ ფაზაში გადასვლის მიზნით.

**II. განხორციელებული საქმიანობები 2021 წლის სამოქმედო გეგმის ძირითადი:**

**ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების, ტრენინგკურსებისა და არაფორმალური განათლების ფარგლებში პროგრამების შემუშავება, დანერგვა და განხორციელება:**

2021 წელს დაგეგმილი იყო ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საექთნო საქმე; ფარმაცია; კომპიუტერული ქსელი და სისტემები, მებაღეობა შემუშავება, განხორციელების უფლების მოპოვება და დანერგვა, რომელიც ნაწილობრივ შესრულდა. კოლეჯმა დაიმატა კომპიუტერული ქსელი და სისტემების და მებაღეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები. ვერ მოხერხდა საექთნო საქმის და ფარმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დამატება. პროგრამებში გამოიკვეთა ხარვეზები, რაც განპირობებული იყო პასუხისმგებელი პირების მიერ დაშვებული შეცდომებით. აღნიშნული პროგრამების დამატება ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე გათვალისწინებული იქნება 2022 წლის სამოქმედო გეგმაში. მებაღეობის და კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ინტეგრირებულია. მომზადება/ გადამზადების პროგრამების პირუტყვის მოშენება ბიო მეთოდებით; ბოსტნეული და ბაღიერი კულტურების ბიოწარმოება; ფრინველის მოშენება და კვება; ხეხილის ბაღის გაშენება და მოვლა; ფუტკრის მოვლა-პატრონობა; შინმოვლა, რეგიონული ტურის მეგზურის დამატება და დანერგვა ნაწილობრივ შესრულდა; ფუტკრის მოვლა-პატრონობა და რეგიონალური ტურის მეგზური დამატებულია დანარჩენი პროგრამების დამატება ვერ მოხერხდა მატერიალური რესურსის გამო. გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგკურსები (ინგლისურ ენაში). დაიხვეწა შიდა ნორმატიული დოკუმენტები. დისტანციური და კომბინირებული სწავლება (სადაც ეს შესაძლებელია) დანერგილია და იძლევა ეფექტურ შედეგებს. მომზადდა პროგრამები ინსტიტუციური ავტორიზაციისათვის.

**მაღალი ხარისხის სწავლებისა და შეფასების პროცესის უზრუნველყოფა; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება :** დაიხვეწა შიდა ვერიფიკაციის სისტემა. სწავლებაში დანერგილია ინოვაციური შედეგებზე ორიენტირებული მეთოდები. პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სისტემატიურად ხორციელდება მასწავლებლების, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა, ანალიზი და სწრაფი რეაგირება. დაიხვეწა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. სტუდენტთა სერვისების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა სამრეწველო და ინოვაციური ლაბორატორიის სასწავლო პროცესში ინტეგრაცია. გეგმის მიხედვით ხორციელდებოდა სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილების კვლევა, ანალიზი და რეგირება.

**სოციალური პარტნიორების მონაწილეობა პროფესიული განათლების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში:** სასწავლო პროგრამების, სასწავლო ბაზების მოწყობისას გათვალისწინებული იყო დამსაქმებელთა რეკომენდაციები. ღუაღური პროგრამების განვითარებაში ჩართულია 21 ღვინის კომპანია. სოციალური პარტნიორების მონაწილეობის და ჩართულობის ამაღლების მიზნით ჩატარდა დია კარის დღეები. ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერა. დონორებთან თანამშრომლობის გაძლიერება საერთაშორისო ურთიერთობების გააქტირების და ახალი პარტნიორების მოზიდვის მიზნით მოეწყო ონლაინ შეხვედები ფრანგულ მხარესთან. ვერ მოხერხდა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, რაც ასახული იქნება 2022 წლის სამოქმედო გეგმაში. მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი ფინანსური რესურსები და პანდემიაა. ერასმუსის პროგრამა საშუალებას მოგვცემს 2022 წელს განხორციელდეს თანამშრომლობა სხვა ქვეყნების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

**ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერა:** სსსმ და შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობა გაზრდილია (სსსმ და შშმ პირთა გაზრდილი რაოდენობა). მათთვის მომსახურების სერვისები წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია. ჩატარდა მათთვის მხარდაჭერი ღონისძიებები.

**საერთაშორისო პარტნიორობის განვითარება:** გაეროს განვითარების საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები. მომზადების პროგრამები გაიარა 135 მსმენელმა; ინგლისური ენის კურსი- 107 მსმენელმა, შინმოვლის კურსი 46 მსმენელმა.

**კოლეჯის ადამიანური რესურსების განვითარება -ინსტიტუციური განვითარება, მართვის პროცესის გაუმჯობესება, კოლეჯის ადმინისტრაციული თანამშრომლებისა და მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა, კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელება:** ადამიანური რესურსების კომპეტენციების გაზრდის მიზნით ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით. განხორციელდა დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღწერილობის დახვეწა და დაახლოება მათ უშუალო და სავალდებულო მოვალეობებამდე. უახლოეს პერიოდში განხორციელდება ახალი სამტატო ერთეულების დამატება. მიმდინარეობა შიდა ნორმატიული დოკუმენტების დახვეწა. ასევე ინტენსიურად მიმდინარეობს მოტივირებული და კვალიფიციური კადრების მოზიდვა. განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციული თანამშრომლებისა და მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა. კოლეჯის ადმინისტრაციული თანამშრომლებისათვის განხორციელდა ტრენინგი მენეჯმენტში, მასწავლებლებისათვის კი-დატრენინგება პედაგოგიკის კურსში. ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისათვის განხორციელდა უცხო ენის (ინგლისური A2 დონე) შემსწავლელი კურსები. რამოდენიმე წარმატებული კურსდამთავრებული დასაქმდა კოლეჯში.

**კოლეჯის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება:** შეიქმნა პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ყველა პროგრამისათვის განხორციელდა გადაიარაღება -შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა. განახლდა ინფრასტრუქტურა და სახელოსნოები - კაჭრეთში აშენებულია: ავტოსახელოსნო, იატაკისა და ფილის სამუშაოების სახელოსნო; ახმეტაში-კერამიკული ნაწარმის სახელოსნო. სსსმ და შშმ პირებისათვის ყველა ლოკაციაზე გაუმჯობესდა ადაპტირებული გარემო. ფინანსური რესურსების გამო ვერ განხორციელდა საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაცია. სისტემატიურად ხორციელდებოდა სასწავლო პროცესისათვის საჭირო სასწავლო მასალებით და ნედლეულით უზრუნველყოფა. შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემუშავდა პროექტი ყველა ლოკაციისათვის, მობილიზებული იქნა ფინანსური რესურსები და გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი. 2022 წლის თებერვლის ბოლოსთვის სისტემა სტანდარტის შესაბამისი იქნება. სისტემატიურად მიმდინარეობდა ბიბლიოთეკის წიგნადი და არაწიგნადი ფონდის შევსება უახლესი სასწავლო, როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული ლიტერატურით. განვითარდა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, შეძენილი და დამონტაჟებული იქნა სერვერი. დაიხვეწა და განვითარდა საქმისწარმოება. იმის გამო, რომ კოლეჯს არ ყავს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმართვა გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობდა. სისტემატიურად მიმდინარეობს პროგრამების კატალოგების, კოლეჯის ვებ გვერდის და ფეისბუქ გვერდის განახლება. კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, სხვადასხვა საზოგადოებრივ ცენტრებთან, სკოლებთან და სოფლებში მუნიციპალიტეტების მერების წარმომადგენლებთან. საანგარიშო წელში რეგულაციების არარსებობის გამო ვერ შეძლო სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზება, დამატებითი სახსრების გენერირება.

**კოლეჯის სტუდენტების/მსმენელების მხარდაჭერი ღონისძიებების განვითარება:** პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის ჩატარდა კონსულტაციები შესაბამისი კომპეტენციებისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, პროფესიის არჩევის საკითხებთან დაკავშირებით. მოეწყო საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრები კოლეჯის სტუდენტებისთვის კარიერული მხარდაჭერის, სტუდენტთა ინფორმირების დასაქმების შესაძლებლობებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ჩატარდა კარიერის დაგეგმვის ტრენინგები სამუშაოს ძიების ტექნიკის, CV-ის და სამოტივაციო წერილის შედგენისა და დამსაქმებელთან გასაუბრების საკითხებთან მიმართებაში. მოეწყო ღია კარის დღეები. მთელი რიგი სტუდენტური ღონისძიებები პანდემიის გამო შეფერხებით წარიმართა.

**კრიზისების ეფექტური მართვა:** კრიზისების პერიოდში პროცესების შეუფერხებლად წარმართვის მიზნით მენეჯმენტისა და მასწავლებლებისათვის ჩატარდა ტრენინგები Microsoft Teams -ში. შემუშავდა კრიზისების მართვის სტრატეგია.

### **2021 წელს მიღებული შემოსავლები და ხარჯვითი ნაწილი**

ნაშთი 2021 წლის დასაწყისში კოლეჯის სახაზინო ანგარიშზე შეადგენდა 1358798 ლარს. მიღებულ შემოსავალმა წლის განმავლობაში შეადგინა -3329443.23 ლარი მათ შორის:

- ❖ ვაუჩერიდან-1850871 ლარი
- ❖ პროგრამული დაფინანსებიდან -1227031 ლარი
- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან -126012 ლარი
- ❖ საკუთარი შემოსავლებიდან -15082.75 ლარი
- ❖ ჯანდაცვის პროგრამიდან -21903.48 ლარი
- ❖ გენდერული თანასწორობისათვის საქართველოში -29772 ლარი
- ❖ საგრანტო პროექტი (UNDP) -43015.75 ლარი
- ❖ მომზადება-გადამზადების პროგრამები -15755,25 ლარი

მიღებულმა შემოსავლებმა ჯამში სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეადგინა - 3203914 ლარი; პროექტებიდან - 110446,48 ლარი ; საკუთარი სახსრებიდან -15082,75 ლარი

ხარჯვითი ნაწილი:

- 2021 წელს გაიხარჯა -2 607182,23 ლარი;
- შრომითი ანაზღაურება -1588301 ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 849746,23 ლარი;
- არაფინანსური აქტივები -167734 ლარი;
- ავტომობილი დაზღვევა -1401 ლარი
- ნაშთის სახით კოლეჯის სახაზინო ანგარიშზე დარჩა -2081059 ლარი მათ შორის ვაუჩერი -1669612 ლარი; ინფრასტრუქტურა -410547 ლარი; მომზადება-გადამზადების პროგრამა -900 ლარი

### **III. მიღწეული შედეგები**

- ❖ მისამართების მიხედვით ავტორიზებულია 31 პროგრამა მათ შორის 3 დუალური პროგრამა
- ❖ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- ❖ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს სწავლების ხარისხის ასამაღლებლად
- ❖ დამყარდა კონტაქტები ახალ დამსაქმებლებთან
- ❖ კოლეჯი მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან
- ❖ ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირება



- ❖ მომზადება-გადამზადების სერვისების შეთავაზება (კოლეჯს აქვს მისამართების მიხედვით 17 მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება)
- ❖ იზრდება კოლეჯის პოპულარიზაცია
- ❖ კოლეჯმა წარმატებით განახორციელა მნიშვნელოვანი პროექტები

### III. არსებული გამოწვევები

- ❖ მოსახლეობაში არსებული ფსიქოლოგიური ბარიერი და ინფორმირებულობა პროფესიული განათლების უპირატესობებზე
- ❖ პარტნიორ დამსაქმებელთა მოძიება, მათი იდენტიფიცირება, თანამშრომლობის უტაპების დაგეგმვა და სამოტივაციო მექანიზმების შემუშავება/შეთავაზება
- ❖ სწავლების ხარისხი
- ❖ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსი
- ❖ პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა
- ❖ გზამკვლევები და სახელმძღვანელოები ყველა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის.
- ❖ მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დანერგვა
- ❖ ავტორიზაციის ახალი სტანდარტები
- ❖ კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა
- ❖ ფილიალების განვითარება
- ❖ ინფრასტრუქტურული განვითარება

#### მიზნები:

- ❖ სსიპ კოლეჯი „აისი“ გახდეს პროფესიული განათლებისა და ინოვაციების ჰაბი
- ❖ კოლეჯის ყველა თანამშრომელი მუდმივად ისწრაფვოდეს სრულყოფილებისაკენ და მიღწევების მუდმივი გაუმჯობესებისაკენ
- ❖ პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია

#### გასაუმჯობესებელი საკითხები:

##### კოლეჯის გრძელვადიანი გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის რევიზია:

- ❖ ხედვის მისიის და ღირებულებების რევიზია
- ❖ გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში გენდერული საკითხების გათვალისწინება

##### სწავლების ხარისხის მუდმივი ამაღლება :

- ❖ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწა
- ❖ ადამიანური კაპიტალის განვითარება
- ❖ მატერიალური რესურსის განვითარება
- ❖ ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება
- ❖ პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია
- ❖ შიდა და გარე კონკურსებში ჩართულობა

##### კარიერისა და პროფორიენტაციის სერვისის განვითარება

- ❖ ბენეფიციარებისათვის გაზრდილი კარიერული სერვისების შეთავაზება
- ❖ სტუდენტთა რიცხოვნების გაზრდა
- ❖ სტუდენტებში დამატებითი უნარების განვითარება
- ❖ კურსდამთავრებულთა დასაქმებისა ხელშეწყობა
- ❖ მოწინავე გამოცდილების გაზიარება

##### ინსტიტუციური განვითარება:

- ❖ მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის დახვეწა

- ❖ მენეჯმენტის კომპეტენციების ამაღლება
- ❖ ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება

### **კოლეჯის პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა**

- ❖ შრომის ბაზრის კვლევა შიდა რესურსებით
- ❖ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსის მიზეზების დადგენა
- ❖ პარტნიორ დამსაქმებელთა მოძიება, მათი იდენტიფიცირება, თანამშრომლობის ეტაპების დაგეგმვა და სამოტივაციო მექანიზმების შემუშავება / შეთავაზება
- ❖ ახალი პროგრამების დამატება (პროფესიათა დივერსიფიკაცია)

### **ხელმისაწვდომი და უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება**

- ❖ სსსმ და შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობის აქტიური ჩართვა
- ❖ ხელმისაწვდომობის გაზრდა გენდერულ ქრილში
- ❖ მოკლევადიანი პროგრამების შეთავაზება
- ❖ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

### **კერძო სექტორის ჩართულობა**

- ❖ ცნობიერების ამაღლება
- ❖ დარგობრივ საბჭოებთან და ასოციაციებთან თანამშრომლობა
- ❖ ღუაღური პროგრამების დანერგვა (რიცხოვნების გაზრდა)

### **ფილიალების განვითარება**

- ❖ სახელოსნოების მშენებლობა
- ❖ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადაიარაღება
- ❖ ახალი სერვისების დანერგვა

### **დამატებითი სახსრების მოძიება**

- ❖ ახალი პროექტების განხორციელება
- ❖ გრანტების მოძიება
- ❖ სამეწარმეო საქმიანობის მიზნით ბიზნეს გეგმების შემუშავება და საქმიანობის წარმართვა

### **ფინანსური მდგრადობა და შესყიდვების ეფექტიანი სისტემა**

- ❖ ბიუჯეტის გაზრდა და ეფექტურად დაგეგმვა
- ❖ მატერიალური რესურსის დაცვა და აღრიცხვის კონტროლის ეფექტურობა
- ❖ შესყიდვის პროცედურების სრულყოფა
- ❖ ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფა

ჩვენი ხედვა გზამკვლევაა იმ მიზნის მისაღწევად, რომლისკენაც კოლეჯი „აისი“ უკვე წლებია დაუღალავი შრომით და დიდი ენთუზიაზმით მიიწევს. ჩვენი კოლეჯი სტუდენტების წარმატებული მომავლისათვის უზრუნველყოფს უსაფრთხო და წამახალისებელ გარემოს შექმნას, განათლების სრულ ხელმისაწვდომობას, ერთნაირ წარმატებულ მოლოდინს ყველა დაინტერესებული მხარისათვის, სწავლა-სწავლების მაღალ სტანდარტებს, მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. კოლეჯი „აისი“ დღეს გაცილებით უფრო მიმზიდველია დაინტერესებული მხარეებისათვის. აუცილებელია, წარსულს ჩაბარდეს დრო, როდესაც პროფესიული განათლება პრესტიჟულად არ ითვლებოდა და ახალგაზრდების უმრავლესობისთვის უმაღლესი განათლება იყო ერთადერთი ალტერნატივა!

საზოგადოებაში ავტორიტეტის, ნდობის, სიყვარულისა და პატივისცემის მოპოვებას წლების მანძილზე თავდაუზოგავი, უანგარო, გმირობის ტოლფასი შრომა, თავდადება და გარჯა სჭირდება, ხოლო მის დაკარგვას კი ერთი დაუფიქრებელი, გაუაზრებელი არასწორი, უსამართლო ნაბიჯი! თავდაუზოგავად უნდა ვიმშრომოთ, ჩვენი ავტორიტეტი განისაზღვრება არა თანამდებობით, მატერიალური შესაძლებლობებით და

თუ გნებავთ მართო პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხის მაჩვენებლით, არამედ, ჩვენი ცხოვრების წესით, სუფთა წარსულითა და აწყობით, შეუბღალავი რეპუტაციით, ჩვენი სამართლიანობით, უბრალოებით, ობიექტურობით, ყურადღებიანობით, გადაუმეტებელი პრინციპულობითა და რაც მთავარია სანდოობით. ამ ღირებულებებს გაფრთხილება სჭირდება. არ არსებობს წარმატების უნივერსალური გზა. წარმატების გასაღები ყოველდღიური შრომა, რიტმულობა და მუდმივი სწრაფვაა სრულყოფილებისაკენ და თქვენც, კოლეჯ აისის თანამშრომლებო ამისაკენ მოგიწოდებთ. კოლეჯის „აისი“ ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო, ეტაპი ძიების, ეტაპი სწრაფი და მუდმივი განვითარების. ჩვენი გზა იქნება პროფესიონალიზმისაკენ მიმავალი გზა. ჩვენ შევძლებთ უმაღლესი პროფესიული სტანდარტების დანერგვისა და სტუდენტებისა და მსმენელების ინტერესების პრიორიტეტიზაციის გზით, შრომის ბაზრის დაკვეთის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის, ინჟინერიის, ტურიზმის, მომსახურების, ხელოვნების, ბიზნეს - ადმინისტრირების, ინფორმაციის და კომუნიკაციების ტექნოლოგიების და ჯანდაცვის სფეროში მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებებით, ახალი იდეებითა და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეძლებენ თვითრეალიზაციას მიუხედავად სქესისა, ასაკისა, საცხოვრებელი ადგილისა, შემოქმედებითად მიუდგებიან ქვეყნის ეკონომიკურ თუ გლობალურ გამოწვევებს და ხელს შეუწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს. ჩვენ შევძლებთ, რომ 2027 წლისთვის კოლეჯი „აისი“ საქართველოსა და რეგიონში იყოს ლიდერი პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ინოვაციური მიდგომებით, გლობალიზაციის გათვალისწინებითა და ტრადიციების შენარჩუნებით ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს და შეძლებს კახეთის რეგიონის მასშტაბით სოფლის მეურნეობის, ინჟინერიის, ტურიზმის, მომსახურების, ხელოვნების, ბიზნეს - ადმინისტრირების, ინფორმაციის და კომუნიკაციების ტექნოლოგიების და ჯანდაცვის სფეროებში სამუშაო ძალაზე არსებული დაკვეთის 90%-ით დაკმაყოფილებას. კოლეჯი „აისი“ და მისი ყველა თანამშრომელი ჩვენი ქმედებებით ვიქნებით მაგალითი სახელმწიფოებრივი აზროვნების! ძალა ერთობაშია და მე მჯერა, რომ ერთად კორდინირებული მუშაობით მივაღწევთ სასურველ შედეგს.

მალხაზი ასლამაზაშვილი

31 დეკემბერი 2021 წელი